№ 216

შაბათი, 6 ოქტომბერი, 1901 წ.

1877–1901

ივერია

№ 216

შაბათი, 6 ოქტომბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, ...ლიოთეკა
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ეროვნული

გაზეთი ღირს:

თვე	ქან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ელისაბედ გრიგოლის ასული სულხანოვისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 6 ოქტომბერს, ავლაბრის კარმირ-ავეტარანის ეკკლესიაში, დილის 10 საათზედ, დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის მისის ქმრის

ავეტიქ სულხანის ძის სულხანოვის

სულის მოსახსენებლად. პატივისმცემელნი სახლში (ავჭალის ქ. № 40) მობრძანდებიან. მოსახსენებელი სადილი გლახაკთათვის ხოჯივანქის სასაფლაოზედ იქმნება გამართული.

(2—216—2)

ქართული თეატრი

კვირას, 7 ოქტომბერს 1901 წ.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება
პირველად ახალი პიესა

I

გაცრუებული იმედები

კომ. 2 მოქმედებად თხზ. ნ. აზიანისა.

II

მუშვანიერი ელენეს მაძიებელნი

ფარსი 2 მოქმედებად გად. ა. ცაგარლის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, ...ბარგარეთელი, ტასო აბაშიძე. გივიშვილისა და სხვ. ბ-ნნი: აბაშიძე, ...ემონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ურუშაძე, იმედაშვილი და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. აბაშიძე

შემდეგი წარმოდგენა 11 ოქტომბერს: მზადდება „ცხოვრება,“ დრ. 2 მოქ., „ჯადო სიყვარულისა“ დრ. 4 მოქ.

(3—ნ.—2)

ინჟინერი

გიორგი დეკანოზიშვილი

მიიღებს შემდეგ საინჟინერო სამუშაოს: 1) მადნეულობის გამოკვლევა: ნავთისა, ქვა-ნახშირისა, ვერცხლისა, სპილენძისა და სხვა; 2) წყლის გამოყვანას სასმელად და მამულების სარწყავად, 3) ექსპერტიზას სადავო საქმეებში; 4) პლანების გაკეთებას და სხვა საინჟინერო საქმეს.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე 4—6 საათ. ადრესი: Георгіевская площадь № 32.

(8—ნ.—3)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო ,ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩიძოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. გაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ძ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

ბ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს. რჩევა-დაიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ...აგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ე. ბ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

ბ. ბ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

ექიმი-ქალი მ. ს. ბაძრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

ფელეტონი

უცხოთა შორის.

...ერთა ბრძოლა შეერთებულ შტატებში—...ოროვნული და სოციალ-დემოკრატნი,—მუ...ათა ახალი სადგომები და „სამაგალითო“ ...ალაქი.—გაზეთის გამოცემა ამერიკუ...ად.—როგორ ეგებებიან ავტორები თა...ეთნთ პიესების პირველ წარმოდგენებს.

ამ ბოლოს დროს ერთა შორის ...ბრძოლამ ამერიკის შეერთებულ ...ტატებშიაც იჩინა თავი. დღემდე ...ონიერ ამერიკელთა სავალალოს ...ბოლოდ ის უფსკრული, სიძულილი ...და მტრობა შეადგენდა, რომელიც ...ეთრ და შავ კანიანთ შორის არსებობს იმ თავითვე. როგორც ვუწყით, თეთრ კანიანნი და ზანგები ...ქამდე ვერ დაახლოვებულან და ერთ ...ახელმწიფოში ტკბილი ცხოვრება ...ერ მოუწყვიათ. სიძულილი და ...ტრობა—აი რით განისაძღვრება ...ამ ორ რასის შორის დამყარებული ...დამოკიდებულება. ეხლა ამ უბედუ...ებას მეორეც ემატება: ბრძოლამ, ...როგორცა ვთქვით, თავი იჩინა ...სხვა და-სხვა ერის წარმომადგენელ ...ეთრ კანიანთა შორისაც.

მოგეხსენებათ, შეეროებულ შტა...ების რესპუბლიკა სხვა-და-სხვა ...ერისა და რჯულის ხალხითაა და...ახლებული. 1890 წლის აღწერით ...ამერიკაში ითვლებოდა 65 მილიო...ნი სული. აქედგან 18 მილიონი ...ინგლისელ და ჰოლანდიელ ახალშენთა შთამომავალნი არიან, რომელნიც გადასახლდნენ ამერიკაში პირველად, შტატების დაარსებამდე. 19 მილიონი შემდეგ გადასახლებულთა შთამომავალნი არიან. როგორც პირველნი, ისე მეორენი ინგლისურს ენაზედ ლაპარაკობენ. „იანკებს“ აი ამათ ეძახიან. დარჩა 28 მილიონი. აქედგან

ნემეცია . . .	12 მილიონი.
ირლანდიელი .	5 „
ფრანგი . . .	1½ „
ესპანელი. . .	1 „
იტალიელი .	1 „
პოლონელი . .	1 „
სხვა და-სხვა ეროვ.	6½ „

ამ ერებმა არამც-თუ არ დაკარგეს თავიანთი ეროვნული ელ-ფერი, ზნე-ხასიათი, ენა, ლიტერატურა, არამედ ამერიკაში გადასახლების შემდეგ ყოველივე ეს უფრო განამტკიცეს და განაძლიერეს. სახელმწიფო ენად ინგლისური ითვლება, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, რაც დრო და ხანი გადის, ფეხს იკიდებენ და იმაგრებენ სხვა ენებიც: ნემეცური, ფრანგული, ესპანური, იტალიანური, პოლონური, ჩეხური. ყველა ერსა აქვს საკუთარი ლიტერატურა და ჰყავს საკუთარი მწერლები, საკუთარი სასწავლებლები, ეკლესიები აქვს. განკერძოება და გაცალკ-ცალკევება ამ ერებს აშკარად ეტყობათ. ხელს უწყობს როგორც ბუნებრივ განცალკევებას, ისე მათ შორის ბრძოლას, უთანასწორობა, რომელსაც მართვა-გამგეობის საქმესა და სიმდიდრის განაწილებაში ვხედავთ. შეერთებული შტატების ბატონებად დღეს თითქმის „იანკები“ არიან: იმათ ხელშია როგორც მართვა-გამგეობა, ისე სიმდიდრე.

ყველა ამან უკვე დააფიქრა გონიერი ამერიკელნი. ჰშიშობენ, უდიდესი რესპუბლიკაც ერთა ისეთ ბრძოლის მოედნად არ გადაიქცეს, როგორსაც დღეს ავსტრია წარმოადგენს. ეს მოვლენა (ერთა ბრძოლა ამერიკაში) საყურადღებოა. ხშირად იმათ, ვინც ეროვნულ ბრძოლას უარსა ჰყოფენ, მაგალითად ამერიკა მოჰყავთ, იქ კლასთა ბრძოლაა მხოლოდ, თუმცა ერნი ბლომად სცხოვრობენო, ამბობენ. მართლაცა და კლასთა ბრძოლა არსად ისე არ არის გამწვავებული, როგორც ამერიკაში. მაგრამ ამ კლასთა ბრძოლასთან ერთად ეროვნული ბრძოლაცაა იქ: ერნი განცალკევებასა და დამოუკიდებლობას დაეძებენ. აშკარაა, კლასთა ბრძოლა სხვაა, ეროვნული ბრძოლა კიდევ სხვა.

—.—

საყურადღებოა, რომ ბოლოს დროს ამ ჭეშმარიტებას უარს აღარა ჰყოფენ ევროპაში აღარც მუშათა დასის ან სოციალ-დემოკრატის წარმომადგენელნი, თუმცა აქამომდე ისინი ეროვნულ ბრძოლას თვალ-ყურს არიდებდნენ და მალი-მალ გაიძახოდნენ, ბრძოლა მხოლოდ კლასთა შორისაა, „ეროვნული ბრძოლა“ ბურჟუაზიის გამოგონილია თავის ინტერესების სასარგებლოდაო. აი რა აზრი გამოუთქვამს ეროვნულ საკითხის შესახებ განსაკუთრებულ კომისიას, რომელიც ამ საქმის გამოსარკვევად ამოარჩია შარშან ბრიუნში მომხდარმა მუშათა დასის წარმომადგენელთა კრებამ.

ამ კომისიის აზრით

1) ავსტრია უფლება-თანასწორ ერთა დემოკრატიულ სახელმწიფოდ უნდა იქმნას გადაქმნილი.

2) დღევანდელ ოლქების ნაცვლად უნდა შესდგეს განკერძოებული, თვითოეულ ერისთვის ცალ-ცალკე, ადმინისტრატიულად დამოუკიდებელი, ოლქები. ადმინისტრატიული და საკანონმდებლო უფლება ამ ოლქებში „საერო პალატის“ ხელში იქმნება, რომელიც ერმა საყოველთაო და პირდაპირის ხმის მოკრეფით უნდა აარჩიოს.

3) იმ თვით-მართველ ოლქებისაგან, რომლებშიაც ერთი ერია დასახლებული, შესდგება ერთი საერო კავშირი. ყოველივე საერო საქმე სრულიად დამოუკიდებლად ამ კავშირმა უნდა გადასწყვიტოს.

4) ყველა ერის უმცირესობის უფლებანი უნდა დაიცვას განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელსაც საზოგადო საკავშირო პარლამენტი აირჩევს.

5) უპირატესობა არც ერთ ერს არ მიეცემა და არც რომელიმე ერის ენა იქმნება აღიარებული სახელმწიფო ენად. საზოგადო პარლამენტმა უნდა აარჩიოს ენა, რომელზედაც ცენტრალურ დაწესებულებათა მოხელეებს ოლქის მოხელეებთან მიწერ-მოწერა ექმნებათ.

ყველა ამის განხორციელებასა სცნობს საჭიროდ კომისია. სახელმწიფოს არ შეუძლიან, ამბობს იგი, მხოლოდ და მარტო ხიშტების ძალას მიენდოს. ის სახელმწიფო, რომელსაც თავისი მორალური ძალა არა სწამს, დაღუპვას არ ასცდება, თუნდაც დიდის სამხედრო ძალის პატრონი იყოს იგიო.

კომისიის ეს მოსაზრებანი ამ ცოტა ხანში უნდა განიხილოს მუშათა დასის წარმომადგენელთა კრებამ. გაზეთების სიტყვით, ეს კრება ცალკე ჯგუფებად იქმნება დაყოფილი, თვითეულ ჯგუფში თითო ერის წარმომადგენელნი იქმნებიან.

„ვინც ყურადღებით დააკვირდება კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტს, სწერს ერთი გაზეთი, რომლითაც ჩვენა ვსარგებლობთ, ადვილად შეამჩნევს, რომ მუშათა დასმა საეროვნო კითხვაში წინანდელ პოლიტიკას უღალატა და ახალ გზას დაადგა. საყურადღებოა ეს მოვლენა სხვა მხრივაც: იგი პირველი მაგალითია იმისა, რომ მუშათა ორგანიზაცია ყურადღების ღირსადა სცნობს საეროვნო მოძრაობას.

„ის გარემოება, რომ მუშათა დასი აქამომდე ზურგს აქცევდა ერთა მოძრაობას, აიხსნება თეორიულ და პრაქტიკულ მოსაზრებით. მუშათა მოძრაობა, აღმოცენებული და

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგან. 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი.—საქირურგო, 12½—1½ საათ. სამშაბათობით. 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

კვირას, 7 ოქტომბერს,

სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში,

დილის 10 საათზედ, „ცისკრის“ რედაქტორის, განსვენებულის ივანე კერესელიძის საფლავზედ ძეგლის დადგმის შესახებ მოსალაპარაკებლად **კრებაა დანიშნული.**

კრებაზედ დასწრება ყველას შეუძლიან.

(2—უ.—1)

მ ა კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორლანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

ბუჰალტერიისა და საკანტორო ცოდნათა

კურსები

ტფილისის საკომერციო სასწავლებელთან

(წელიწადი მეორე)

ორისავე სქესის წერა-კითხვის მცოდნეთათვის და პრაქტიკული კურსები **ნემეცურის ენისა** მოზრდილთათვის.

სწავლა დაიწყება 2 ოქტომბერს. დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება ტფილისის საკომერციო სასწავლებელში (ჩუღურეთი, საკუთ. სახლი), ყოველ დღე 9—2 საათამდე, კვირაობით 12—2 საათამდე.

(10—ნ.—10)

ახალი ამბავი

—

*** მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდის მთავრის ვლადიმირის ასული ელენე 4 ოქტომბერს, დილით, ტფილისში ჩამობრძანდა, რომელსაც რკინის გზის სადგურზედ მიეგებნენ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი, ტფილისის ვუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი სვეჩინი და სხ. ჩაის შემდეგ, რომელიც მათმა უმაღლესობამ რკინის გზის სადგურის სამეფო ოთახებში ინება, კავკასიის გამოფენა ინახულა და დიღის 10¼ საათზედ სწრაფი მატარებლით ბაქო-ბალაჯარის რკინის გზით პეტერბურგს წაბრძანდა.

*** როგორც ნიგოითის სადგურიდგან იუწყებიან, 5 ოქტომბერს, ნაშუალამევის 1 საათზედ, სამგზავრო მატარებელი № 4 ვიდაც ბორიოტ-განმზრახველთ ვესტინგაუზის კრანის წყალობით დაუყენებიათ მე-23 ვერსზედ, ლანჩხუთის სადგურის მახლობლად, და მეორე კლასის მგზავრებს თავს დაჰსხმიან. მგზავრთაგანი 1 მოუკლავთ, 2 დაუჭრიათ და წაუღიათ ფულად 2,500 მან. შემდეგ თოფის სროლით ლანჩხუთისაკენ წასულან. მატარებელი 15 წამს თურმე იდგა ამ ადგილას. დაჭრილები და მოკლული მატარებელმა სამტრედიაში ჩამოიყვანა.

*** საქართველოს საექსარხოსოს საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს დეკან. ვოსტორგოვის თავმჯდომარეობით საგანგებო კომისსია შეუდგენია, რომ ქართულის ენის სახელმძღვანელოდ სამრევლო-საეკკლესიო სკოლებში აღნიშნულმა კომისსიამ სამაგალითო გეგმა შეიმუშავოს.

*** უმართებელესის სენატის განმარტებით, მწვალებლობის მიმდევრობა არავის თურმე არ აბრკოლებს, რომ საზოგადო არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ.

*** ინჟენერმა რაგოლერმა ოფიციალურად აცნობა ტფილისის გამგეობას, რომ ბელგიის უსახელო საზოგადოებამ იგი ტფილისის ტრამვაის აგენტად დანიშნა.

*** ხუთშაბათს, 4 ოქტომბერს, ტფილისიდგან რუსეთში დაბრუნდნენ კიევის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ბ-ნი რეპნინი და პენზისა—ბ-ნი გოვლიჩი.

*** 4 ოქტომბრის სხდომაზედ ტფილისის სასწავლებელთა კომისსიამ განიხილა მხოლოდ ტფილისის დედათა საპროფესიონალო სახელოსნო სასწავლებლის 1902 წლის ხარჯთ-აღრიცხვა და კიდეც დაამტკიცა იგი.

*** ამას წინად, როგორც აღნიშნული გვქონდა, ქალაქის გამგეობაში კასის გატეხის თაობაზე ექვი მიიტანეს და დაპატიმრეს გამგეობის ბუღალტრის თანაშემწე იხშიბაშევი და მოსამსახურე ტიხონ ციმარენკო. რადგანაც მათის დანაშაულობის საბუთები არა აღმოჩენილა-რა, გამომძიებელს გაუნთავისუფლებია.

*** კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში მომხდარ 4 ოქტომბერს მერძევეთა და პირუტყვის მომშენებელთა სხდომაზედ, სხვათა შორის, ტფილისის საქიმიო ლაბორატორიის გამგემ ბ-ნმა ალიბეგოვმა წაკითხა მოხსენება. ბ-ნ ალიბეგოვის აზრით, საჭიროა დაარსებულ იქმნას ტფილისში ამხანაგობა რძის ვაჭრობის საქმის მოსაწყობად. ამ კითხვამ დამსწრეთა შორის დიდი კამათი გამოიწვია. უმრავლესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ თუმცა სასურველია ასეთის ამხანაგობის დაარსება, მაგრამ ყოვლად მოუხერხებელია. ამავე სხდომაზედ ბ-ნმა ან. ქალანთარმა წაიკითხა თვისი გამოკვლევანი მაწონის „სიკოს“ შესახებ და კიდეც უჩვენა დამსწრეთ მისი სურათი.

*** კავკასიის ექიმთა კრებაზედ, 4 ოქტომბერს, ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ, რომ შემოღებულ იქმნას კავკასიაში ერობა. ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვის საქმე დღეს მარტოოდენ სოფლის ექიმებსა და ქსენონებზეა მინდობილი, ისინი-კი ვერ უძღვებიან ამ საქმეს. მხოლოდ საერობო დაწესებულებას შეუძლიან მოაწყოს რიგიანად ხალხის ექიმობაზე ზრუნვის საქმე. კრებამ თითქმის ერთხმად გადაწყვიტა აღძრას შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობის წინაშე კავკასიაში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ.

*** როგორც ტატლუს სადგურიდგან იუწყებიან, ვიდაც ბოროტ-განმზრახველთ 29 სექტემბერს აღსტაფას და ტატლუს შუა მატარებლის № 162 ორი ვაგონი გაუტეხნიათ და 9 ყუთი მწვანე ჩაი წაუღიათ.

თეატრის მატიანე

—

„სამშობლო“, დრამა 5 მოქ. დ. ერისთავისა.

ხუთშაბათს, 4 ოქტომბერს, წარმოდგენილმა „სამშობლომ“ ვერ ჩაიარა კარგად. თუმცა ეს პიესა არა ერთხელ და ორჯელ წარმოუდგენიათ, მაგრამ ჩვენმა არტისტებმა მაინც კარგად როლები ვერ იცოდნენ. სასურველია, ეს ერთერთი პიესა, რომელსაც ქართველი საზოგადოება ეტანება, უნაკლულოდ იქმნას ხოლმე წარმოდგენილი. ამას გარდა ამ პიესისთვის ქართულ თეატრს არც დეკორაციები აქვს ხეირიანი და არც ტანისამოსი.

ხალხი ამ წარმოდგენას ბევრი დაესწრო.

—

ტფილისის საარტისტო საზოგადოების თეატრი.

გუშინ-წინ, 4 ოქტომბერს, რუსულმა დრამატიულმა დასმა ალექსანდრე დუმას 5 მოქმ. დრამა (La dame aux camelias) (Какъ поживешь, такъ и прослывешь) წარმოადგინა, რომელშიაც უმთავრესს როლს მარგარიტა გოტიესას მოსკოვის საიმპერატორო პატარა თეატრის არტისტი ქალი ტირასპოლსკაია ასრულებდა.

ტირასპოლსკაიამ მძიმე როლი მარგარიტასი მშვენიერად შეასრუ-

გაძლიერებული ერთის ერით დასახლებულ ქვეყნებში, პირველ ხანს გარეშემო ვერა ჰხედავდა ისეთ მიზეზებს, რომელთაც კოსმოპოლიტიურ თეორიაზედ ხელი აეღებინებინა... ამ პოლიტიკას ის გარემოებაც ამართლებდა, რომ ეროვნული მოძრაობა, ვითარცა სხვა წყობისა, ვიდრე კლასთა ბრძოლა, ხშირად ხელსაც უშლის კლასთა ბრძოლის წესიერ განვითარებას. ხშირად საერო საქმის გამო ერთდებიან სხვა-და-სხვა კლასის წარმომადგენელნი, ხოლო ამ გარემოებას თავის მხრივ კომპრომისები მოსდევს, რაიცა ასუსტებს მუშათა დასის დისციპლინას და ძალას. ისეთი შემთხვევებიც იყო, როდესაც საერო საკითხი აბრკოლებდა სხვა-და-სხვა ერის მუშათა გაერთიანებას, დაკავშირებას.“

აი ამ მოსაზრების გამო შეაქციეს ზურგი მუშათა ორგანიზაციებმა ერთა მოძრაობას, ამბობს შემდეგ ავტორი. შეიძლება ამას ხელი შეუწყო ნაციონალიზმის ორის ხანის განურჩევლობამ, განუსაზღვრობამ: იმ დროს, როდესაც სხვის ძალადობისაგან თავის დამცველი ნაციონალიზმი ერის ცხოვრებაში პროგრესიულ მოვლენას წარმოადგენს, ნაციონალიზმი, უკვე გაბატონებული და სხვის დამჩაგვრელი, სინონიმია საზოგადოებრივ უმოძრაობის და კონსერვატიზმისა. იმ აზრს, რომ ნაციონალური მოძრაობანი—ბურჟუაზიის გამოგონებაა, რომ ხალხი გულგრილად უყურებს ამასაო, ამტყუნებს მაგალითები ჩეხიისა და სილეზიისა, სადაც ნაციონალურ მუშაობას თვით ხალხი ეწევა ცხარე ბრძოლაში გერმანიის ბურჟუაზიასთან. ამ პროვინციების მაგალითმა ნათლად დაამტკიცა, რომ უმაღლეს წრეთა დენაციონალიზაცია უფრო ადვილია, ვიდრე ხალხისა.

ყველა ამან დაანახვა მუშათა დასს წინანდელ პოლიტიკის სიყალბე, დაარწმუნა, რომ ნაციონალური მოძრაობა არსებითი მოვლენაა და იმის უყურადღებოდ დატოვება ყოვლად შეუძლებელია. ზემო ხსენებული ავტორი ამბობს, რომ ახალი პოლიტიკა დასს დიდ გავლენასა ჰ ძალას მოუპოვებს, რადგანაც ავსტრიაში არსებობენ ისეთი ერები, რომელნიც ერთსა და იმავე დროს დაჩაგრულის ერებსა და კლასს წარმოადგენენ (მაგალითად, აღმოსავლეთი გალიცია, სილეზია და სხვ.).

—·—

განათლებულ ქვეყნებში კარგა ხანია შეუდგენენ დიდ ქალაქების მავნებელ სივიწროვისა, იქაურ შეხუთულ და მოშხამულ ჰაერთან ბრძოლას. მრავალჯერ შემოწმებულია, რომ დიდ ქალაქების იმ უბნებში, სადაც მუშები სცხოვრობენ, სივიწროვისა და შეხუთულ ჰაერისაგან აუარებელი ხალხი ესალმება წუთი-სოფელს. უმთავრეს საშუალებად ამ უბედურობის ასაცდენად სცნეს ახალის უბნების გაშენება მუშებისათვის მოშორებით. ბევრგან დიდ ქალაქებში განსაკუთრებული საზოგადოებანი დაარსდა მუშათათვის ქალაქ გარედ კარგის სახლების ასაშენებლად. სხვათა შორის ერთი ასეთი საზოგადოება შარშან ლონდონში დაარსდა. საზოგადოებამ ერთი მილიონი მანეთი მოაგროვა ხელის-მოწერით და ამ ფულით განიზრახა უბნების გაშენება.

ბირმინგამში არსებობს მდიდარი სავაჭრო ფირმა ჯორჯ კედბიურისა. აი ამ კედბიურმა, გაოცებულმა მუშათა სადგომების სივიწროვით, განიზრახა ქალაქს გარეთ მათთვის ახალის ქალაქის გაშენება. ამ აზრით ბირმინგამის მახლობლად, ბოურნვილში შეიძინა საჭირო მიწა და თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანა. წარსულ წლის მარტამდე ეს უბანი კედბიურის საკუთრებას შეადგენდა, მაგრამ მარტში ფირმამ იგი ზემოხსენებულ საზოგადოებას გარდასცა იმ პირობით, რომ მოგებულის ფულით ახალი ან გვარივე უბნები გააშენოს. ამ ჟამად ბოურნვილი პატარა კოხტა ქალაქს წარმოადგენს თურმე. სულ იქ მუშათათვის 439 სახლია. ყველა სახლს იქვე ბაღი და ბოსტანი აქვს. ქუჩებში ყველგან ხეებია ჩამწკრივებული. სახლები სხვა-და-სხვა გემოზეა აგებული, რომ ერთფეროვნებით ქალაქი მოსაწყენი არ იყოს. შუაგულში დიდი ბაღია გაშენებული ბავშვებისათვის, ამას გარდა გამართულია მოედანი ლაუნ-ტენისისათვის, ფარდულები, აუზი ცურაობისათვის, საგიმნასტიო დარბაზი და სხვა.

თითო სახლი ექვს ოთახს შეიცავს, მეშვიდე საბანაოა, საიჯარო ფასი ასეთის სახლისა კვირაში სამი მანეთია. იჯარადარს, სახლს გარდა, ეძლევა მზად გაშენებული ბაღი და ბაღოსნობის გაკვეთილები უსასყიდლოდ. უმთავრეს საზრუნავს საზოგადოებისას ის შეადგენს, რომ მუშებს გაუადვილოს ამ სახლების შეძენა. სახლები იმ ფასად იყიდება, რაც დაჯდა. ვისაც ფული არა აქვს, იმას საზოგადოება მეტად მცირე სარგებლით სესხს აძლევს და ამ რიგად თვითონაც იგებს ცოტაოდენ ფულს. ახლად გაშენებული უბანი მეტად კოხტა და კოპწია ქალაქს წარმოადგენს თურმე, სასუფთავე სამაგალითოა, მთვრალ კაცს ერთხელ ვერ შეჰხვდებით. საყურადღებო ის არის, რომ ქველმოქმედებას ამ საქმეში არავითარი ადგილი არა აქვს. ქირა, რომელსაც მუშებისაგან იღებენ, სრულიად თურმე ისტუმრებს ხარჯს და ცოტაოდენ მოგებასაც აძლევს თანხას.

ამერიკაში პატარა უბნებს არა სჯერდებიან და უზარმაზარ ქალაქებს აგებენ ჰიგიენისა და ტეხნიკის მოთხოვნილების თანახმად. ასეთ ქალაქებს იქ „სამაგალითოს“ ეძახიან. შესანიშნავია განსაკუთრებით დეტრუა. დღეს ამ ქალაქში 400,000 მცხოვრებია და სივიწროვეს არავინ არა ჰგრძნობს. არც საკვირველია: მარტო საზოგადო ბაღებს ამ ქალაქში 360 დესეტინა ადგილი უჭირავს. მშვენივრად მოკირწყლულ ქუჩების სიგრძე ერთად 380 ვერსტს აღემატება. მარტო „ბულვარების“ სიგრძე 18 ვერსი იქმნება. ელექტრონის რკინის გზათა სიგრძე 268 ვერსი იქმნება, ამას გარდა 114 ვერსის გზა მიწის ქვეშაა გაყვანილი. ეს გზები ყველა უბანსა და ქუჩასა ჰხვდება. გზები ქალაქის შუაგულ იყრიან-თავს. წყლის მილი გაყვანა 12 მილ. მანეთი დაჯდა. ქალაქში 2000 ქარხანაა, მაგრამ მაინც კვამლს ვერასოდეს ვერ ჰნახავს კაცი, რადგანაც განსაკუთრებული მოწყობილება, ყველა ქარხანაში გამართული, აქრობს დ სპობს კომლს.

—·—

ამერიკაში ყველაფერს ახერხებენ. გაჭირვება და დაბრკოლება იქაურებმა არ იციან, თქმა და ასრულება ერთია. ამას გარდა საქმის სიჩქარისა და სისწრაფისათვის ტეხნიკის ახალი გამოგონებანი ისე არსად არ გამოიყენეს, როგორც ამერიკაში. სხვაგან სადმე შეუძლებელია, მაგალითად, ისე სწრაფად და მარდად გაზეთის გამოცემა, როგორც ამერიკაში. აი გაზეთის „New-York Herald“-ის გამოცემის შესახებ რა მოგვითხრობს ერთი ლონდონელი ჟურნალისტი.

„მე და რედაქტორის თანაშემწე კაბინეთში ვისხედით. 4 საათი და 29 წუთი იყო, როდესაც თანაშემწე

ლა, მაგრამ რალაც უგუნებობა და უხალისობა ეტყობოდა, ალბად იმიტომ, რომ მასთან მოთამაშე ბ-ნი არკუნინი (არმან დუვალის როლში) თავისი უშნო და უსიცოცხლო, დროგამოშვებით პირდაპირ შეუფერებელი, თამაშობით ხელს ძლიერ უშლიდა. საზოგადოდ დასს დიდ ნაკლად უნდა ჩაეთვალოს ის გარემოება, რომ შეყვარებულთა როლების შემსრულებელი არტისტები, როგორცა სჩანს, არა ჰყავს. დანარჩენ მოთამაშეთაგან კარგად შეასრულეს თავისი როლი: ბ-მა იაკოვლევმა—ჟორჟ დუვალისა, ბ-ნმა პეტიპამ—გასტონ რიესი, ბ-ნმა ულიხმა—სენ გერდანისა. ქ-ნი ალინსკაია პრიუდანსის როლში მეტად უზომოდა ხტოდა, ამლაშებდა; ბ-ნი სოკოლსკი ამ პიესაშიაც ისრევე სუსტი იყო, როგორც „Гувернер“-ში. პიესამ მაინც კარგად ჩაიარა, საზოგადოებამ ტირასპოლსკაია მრავალ გზის გამოიწვია.

დ. მოუკიდებელი.

დაბალ სოფელი

ქიზიყი. ძლივს ეშველა ქიზიყის ყვითლად გადახრუკულ მთაბარს: წარსულ სექტემბრის 10-ს, ღამის 11 საათზედ შავ-ბნელად მოქუშულმა ცამ საზარელი ჭექა-გრგვინვა დაიწყო და ისეთი საშინელი, კაკლის სიმსხო სეტყვა დაუშინა ზოგიერთს სოფლებს და ბოლოს იმოდენა თქრიალა წვიმა დაუშვა ხანგრძლივი ელღვარივით, რომ ალაზნის ტრიალი მინდორი ზღვასავით აივსო ქიზიყის მთა-გრეხილის უზარმაზარი ხევებიდამ ჩასული ღვართქაფებით, რომელთაც ბეკრნაირი ზიანი მისცეს ქიზიყს.

მას შემდეგ, რაც განრისხებულმა ცამ თავისი დიდის ხნის დაგუბებული ბოღმის ზღვა გახეთქა და ჩამოღვარა წყურვილით მომაკვდავს მიწაზედ, აგერ მეოთხე კვირაა „ქიზიყის ამტირებელი ცოდვიანი მზე“ აღარ გვეჩვენება, და თითქმის ყოველ დღე ჟუჟუნა და შხაპუნა წვიმა მოდის. „დიდს აღმართს დიდი დაღმართიც მოსდევსო“, მაგრამ აგეთი ნოტიო შამადგომა იქნება, კაცებო, ეს გასაოცრანებელი, რო არაფერს გაგვაკეთებინებს ფარსაგათაო“,—იძახის მდაბიო ხალხი.

ყვითლად მოტიტვლებული მთა-ველ-მინდრები საამურად ახასხასდა ახლად მობუსუსებული მწვანე ბალახითა და მთელიდამ უკვე ჩამოსულ, უანგარიშო ცხვარს ქიზიყელებისას და თუშ-ფშავ-ხევსურებისას საძოვარი გაუჩნდა, მაგრამ შიმშილით გალასტული და გადამღრძვალი ძროხა მოსკოვის „ტოლკუჩკის“ დაბრანძულ ღლიღვასავით ისევ მშიერი დალაწლაწებს და დალასლასებს ახლად აბუსუსებულ მინდორზედ, სადაც გატუსულ მუხასავით შავად გარუჟღული კაჭკაჭებიც კი აღარსად მოსჩანს კვლავინდებურად, რადგანაც ნათქვამია: სიამპარტავნის მცონარობით დამშეული აზნაურიც ისე ტკბილად დაჭქუმსავს აბუჩად აგდებულ მჭადს, როგორც მშიერი კამეჩი შავად გარუჟღულ კაჭაჭ-კუჭაჭებსო.

მოამბე

პირუტყვთა მომშენებელ და მერძევეთა მესამე კრება.

პირუტყვთა მომშენებელ და მერძევეთა მესამე კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში შესდგა 3 ოქტომბერს, საღამოთი. ქუთაისს ბეითალმა კრებას თვისი დაკვირვებანი წარუდგინა იმის შესახებ, რომ ქუთაისის გუბერნიაში რამდენსამე ადგილას შინაურს პირუტყვში ვავრცელებულია ტუბერკულოზით ავადმყოფობა. რადგანაც, მისის მოსაზრებით, ეს ავადმყოფობა გადამდებია, ამიტომ საჭიროა შემოწმების შემდეგ ასეთი საქონელი უთუოდ იხოცებოდეს, რომ ავადმყოფობა უარესად არ გავრცელდეს. ამ საგანმა დამსწრეთა შორის დიდი კამათი გამოიწვია. გამოირკვა, რომ ევროპაში, და ზოგან რუსეთშიაც, ამის შესახებ გამოკვლევამ დაარწმუნა მეცნიერნი, რომ საქონლის მდგომარეობას ამ მხრივ უნდა უთუოდ ყურადღება მიექცეს და ყოველივე საშუალება იქმნეს ხმარებული, რომ ტუბერკულოზით ავადმყოფი საქონელი ან მაშინვე იხოცებოდეს, ან-და უწამლონ. რადგანაც ჩვენში ამ ავადმყოფობის საქმე ჯერ არ არის გამოკვლეული, ამიტომ კრებამ სურვილი გამოსთქვა, რაც შეიძლება საქმე ყოველ მხრივ გამოირკვეს, რომ პირუტყვთა მომშენებელი ხალხი რაიმე გარკვეულს გზას დაადგეს.

შემდეგ ამისა კარგა ხანს ილაპარაკა ალექ. ავ. ქალანთარმა იმის შესახებ, თუ ჩვენში ადგილობრივის ოსურისა, თუშურისა და სხვა ყველისა, ერბოსი და სხვა ნაწარმოებთა მზადება რა ნაირად უნდა გაუმჯობესდეს. უმთავრესი ყურადღება იქმნა მიქცეული იმ გარემოებაზე, რომ ჩვენში ყველი უსუფთაოდა კეთდება და ამასთანავე იმდენად მარილიანი, რომ საჭმელად თითქმის უვარგისი ხდება, თუ წყალში არ იქმნა დამბალი. თუშურ-ოსურს ყველს კანი ვერ უკეთდება ისე, როგორც ევროპაში უკეთებენ და ამის გამო ძალიან მალე ხდება, რადგანაც კანი ადვილად უსქდება. კარგა კამათის შემდეგ კრებამ სურვილი გამოსთქვა, რომ ხალხში საჭირო ცნობების გასავრცელებლად საცდელი საგური იქმნეს დაარსებული და აგრეთვე ინსტრუქტორთა ინსტიტუტი, საიდგანაც საქმის საგანგებოდ მცოდნენი შემდეგ ამ ცოდნას ხალხში გაავრცელებენ და ამით ჩვენის მეურნეობის ამ ერთს დარგს ხელს შეუწყობენ, რიგიანს ნიადაგზედ დააყენებენ.

უცხოეთი

ინგლისი. იმპერიალიზმის მომხრე გაზეთ „Pall—Mall Gazette“-ში მოთავსებულია ერთი საყურადღებო წერილი იმის შესახებ, რომ ინგლისს ძალიან გაუჭირდება თავის ინტერესების დაცვა სპარსეთის ყურეში, თუ რომელიმე სახელმწიფო არ გაიხადა მომხრეთ და იმასთან ერთად არ იმოქმედაო. შემდეგ გაზეთი ამბობს, ერთად ერთი სახელმწიფო, რომელთანაც კავშირის შეკვრა ინგლისისათვის ხელ-საყრელი იქნება—რუსეთია, „თუმცა სხვადა-სხვა ცრუ-მორწმუნეობის მეოხებით მომხდარი უთანხმოება ინგლისისა და რუსეთის შეერთებას აფერხებს, მაგრამ მაინც მოსალოდნელია, რომ ეს წვრილმანი დაბრკოლება სხვა უფრო ღრმა მოსაზრებებს დაუთმობსო ადგილს.“ საყურადღებოა, რომ ამ წერილში გაზეთი არც-კი იხსენიებს საფრანგეთის კავშირს რუსეთთან და განხეთქილებას ინგლისთან.

—ინგლისში ჰფიქრობენ, რომ ავგანისტანში არეულობაა მოსალოდნელი და რომ ამ არეულობით [illegible] სეთი ისარგებლებსო. ინგლისელები იმით ინუგეშებენ თავს, რომ ინდოეთის მეფის მოადგილე ლორდი კერზონი მუყაითი და ფთხილი კაცია და, თუ საჭიროება იქნება, დროზე მიიღებს საჭირო ზომებს. კერზონს ხელი უნდა შეუწყოთ და რაც შეიძლება მალე დავაბრუნოთ სამხრეთ-აფრიკიდამ ინდოეთის ჯარები.

—28 ენკენისთვეს ლივერპულში აფრიკიდამ დაბრუნებულს ჯარისკაცებს მედლები დაურიგეს. ეს ცერემონია დაიწყო ლორდის რობერტსის სიტყვით, რომელიც ითლად დიდი ბრიტანიის ჯარების მთავარსარდლის თანამდებობას ასრულებს. რობერტსი სცდილობდა შეესუსტებინა ინგლისის საზოგაოების უკმაყოფილება მთავრობის უმუყაითო მოქმედების გამო, რომლის შესახებაც ბევრს ლაპარაკობენ უკანასკნელს ხანებში იქაური გაზეთები. რობერტსის სიტყვა საერთოდ უფერული ყოფილა და გაზეთები ამბობენ, უკეთესი იქნებოდა იმის მაგივრად კაბინეთის წევრებს ელაპარაკნათ; მით უმეტეს, რომ საყვედური რობერტსსკი არა—იმათ ეკუთვნისო.

სამხრეთი აფრიკა. გენერალმა ბოტამ შეუთვალა კიტჩენერს, თუ ინგლისის ჯარი პროკლამაციის შინაარსის აღსრულებას შეუდგება, ბურებიც აღარ დაინდობენ ინგლისელთა კერძო საკუთრებას და ყველაფერს გაანადგურებენ, რაც იმათს ქონებას შეადგენს ტრანსვაალ-ორანჟერს რესპუბლიკასა და კაპის ახალშენშია.

—ინგლისის სამხედრო ცენზურა ეხლა გაუსინჯავად არც ერთს წერილს, არც ერთს ტელეგრამას

ტელეფონით დაუძახეს ბუფფალოდგან ნიუ-იორკში: „პრეზიდენტ მაკ-კინლეის ბუფფალოში ორჯელ რევოლვერი ესროლეს. პრეზიდენტი სასიკვდილოდაა დაჭრილი“. ამ ამბავმა საშინლად გააკვირვა და გააოცა რედაქტორის თანაშემწე. მაშინვე მეორე ტელეფონთან მივიდა და სტამბაში დაუძახა: „ააწყეთ საგანგებო ნომერი—„მაკ-კინლეის მკვლელობა“. აარჩიეთ დიდი ასოები. წითლად დაბეჭდეთ. შინაარსი: „მაკ-კინლეის ბუფფალოში ორჯელ რევოლვერი ესროლეს. პრეზიდენტი სასიკვდილოდაა დაჭრილი“. შვიდის წუთის შემდეგ, 4 ს. 36 წ., 200 დამტარებელი ქუჩა-ქუჩა დარბოდა და ამ მოკლე შინაარსიან გაზეთს დაარბენინებდა“.

რამდენისამე წუთით ადრე კაცები გაუგზავნია თანაშემწეს მთავარ რედაქტორსა და გამომცემელთან. პირველი პარიკმახერის სახელოსნოში უნახავთ, საიდგანაც ერთ ლოყა მოპარსული ხუთის წუთის შემდეგ რედაქციაში მოვარდნილა. მეორეს კლუბში სადილისთვის თავი მიუნებებია და 7 წუთის შემდეგ მისულა რედაქციაში. შესვლისას რედაქტორს ხმა არ ამოუღია, პირდაპირ ტელეფონთან მისულა და მოუთხოვნია რედაქცია ბუფფალოს რომელისამე გაზეთისა. „ჩვენ ლაპარაკის თითო წუთში 200 მანეთს გაძლევთ: გადმომეცით, რაც კი იცით,“—უთხრა რედაქტორმა ტელეფონში. ამ სიტყვების შემდეგ აქვე მდგომ თანაშემწეს რედაქტორი უკარნახებდა: „მაკ-კინლეი სამუსიკო დარბაზში იყო. მკვლელს მარცხენა ხელზე ხელსახოცი ჰქონდა“ და სხვა... 4 საათ. 48 წუთზედ, ე. ი. პირველის ნომრის გამოცემიდგან 12 წუთის შემდეგ გამოვიდა გაზეთის მეორე ნომერი, რომელშიც მოთავსებული იყო დაწვრილებით ამბები მაკ-კინლეის დაჭრის შესახებ, სურათი პრეზიდენტისა და ბუფფალოს გამოფენის გეგმა. ამავე დროს გამომცემელი ტელეფონით რკინის გზის გამგეობას ელაპარაკებოდა საგანგებო მატარებლის შესახებ. 25 წუთის შემდეგ, 5 საათ. 4 წუთზედ, გამომცემელი, 2 ფოტოგრაფი და ხუთი თანამშრომელი ამ მატარებლით ბუფფალოსკენ გაუდგნენ. 5 საათსა და 5 წუთზედ გამოვიდა გაზეთის მე-3 და 4 ნომრები, ხოლო ერთის საათის შემდეგ ქუჩებში უკვე იყიდებოდა მეხუთე ნომერი, რომელიც ორის ფურცლისაგან შესდგებოდა. ერთს სვეტში მოთავსებული იყო ტელეფონით გადმოცემული ამბები პრეზიდენტის დაჭრის შესახებ, ერთი სვეტი პრეზიდენტის ბიოგრაფიას შეიცავდა, ორი—სხვა-დასხვა სურათებს; 2 სვეტი სავსე იყო სენატორებისა, დიპლომატებისა, გუბერნატორებისა და საპოლიტიკო მოღვაწეების ნალაპარაკევით პრეზიდენტის დაჭრის თაობაზედ, ორი სვეტი დეპეშები იყო. შემდეგ რამდენიმე სვეტში აწერილი იყო ნიუ-იორკელთა გაკვირვება და გაოცება პრეზიდენტის მოკლის გამო, ერთ სვეტში ცნობილ ნიუ-იორკელ ქირურგების აზრი იყო მოთავსებული ჭრილობის შესახებ. რამდენიმე სვეტი ეჭირა დიდ წერილს—რა გავლენა იქონია პრეზიდენტის დაჭრამ ნიუ-იორკის ბირჟაზედ. დასასრულ მოთავსებული იყო ვიცე-პრეზიდენტის რუზველტის სურათი და დაწვრილებით ბიოგრაფია. ყველა ეს ერთის საათის განმავლობაში დასწერეს, ააწყეს სტამბაში, დაბეჭდეს და ქუჩებში დაარიგეს.

ზემოხსენებული ჟურნალისტი, რომელმაც ამ ერთს საათს რედაქციაში დაჰყო, სწერს, რომ ამ ხნის განმავლობაში ხმა არავის არ ამოუღია. ყველა თავის ადგილას იჯდა ჩუმად და საქმეს აკეთებდა. ბრძანებას მოკლედ და გარკვევით აძლევდნენ. ყველაფერს ულაპარაკებლივ ასრულებდნენ. მანქანებს უფრო ჰგვანდნენ ეს მომუშავე კაცები, ვიდრე ცოცხალ არსებათაო.

—.—

დაიწყო წარმოდგენების სეზონი და გაზეთებიც ააჭრელეს სათეატრო ამბებით. ერთ ფრანგულ გაზეთში საინტერესო წერილი ყოფილა დაბეჭდილი ამ სათაურით: „როგორ ეგებებიან ავტორები თავიანთ პიესების პირველ წარმოდგენებს“. იშვიათია ისეთი ავტორი, სწერს იგი, რომელსაც თავის პიესის პირველ წარმოდგენის დროს შიში და კანკალი არ გამოეცადოსო. უწინდელ მწერალთა შორის გულმგრობით ცნობილი იყო ვოლტერი. ვიქტორ გიუგო ძალიან სცდილობდა თავის შემაგრებას, მაგრამ მღელვარება მაინც ყოველთვის ეტყობოდა თურმე. სამაგიეროდ, სხვები ამასაც ვერ ახერხებდნენ. პონსარი, „შარლოტა კორდეის“ ავტორი, თავის პიესების პირველ წარმოდგენის დროს ისეთს შიშს ეძლეოდა ხოლმე, რომ მნახველთ ებრალებოდათ. „ლუკრეციის“ პირველ წარმოდგენის დროს მიეჩვენა, ვითომ იმის პიესას უსტვენდნენ. პონსარს კინალამ გული შეუღონდა, ისე იმოქმედა ამან. ასეთსავე შიშს ეძლეოდა კაზიმირ დელავინი, თუმცა იმის ერთ პიესას „ლუდოვიკო XI“-ს ახლაც ადგენენ. დელავინი თავის პიესების პირველ წარმოდგენას არასოდეს არ ესწრებოდა: იყო შინა და შიშით მოცული ოთახებში დადიოდა. სწორედ ამ დროს ეძლეოდა ეჭვს და თავის გულში იმეორებდა, უნიჭო ვარო. სკრიბა გიუგოსავით თავს იმაგრებდა; მაგრამ მახლობელთ კარგად უწყოდნენ იმის გულის ვითარება. სხვათა შორის პირველ წარმოდგენების დროს სკრიბას ერთი ჩვეულება ჰქონდა: ეჭირა ხელსახოცი და კბილებითა ღრღნიდა.

ბურჟუა ჯავრს დეკორაციებზედ იყრიდა ხოლმე. როდესაც არტისტები რომელისამე სცენას ახდენდნენ, ბურჟუა გაჯავრებული ჯოხს დეკორაციებს უბრახუნებდა. დენერი და სხვანი თეატრიდგან გარბოდნენ ხოლმე, თუ შეამჩნევდნენ, რომ პიესას ცუდად ადგენენ. ანსელო არასოდეს პარასკეობით თავის პიესების წარმოდგენის ნებას არ აძლევდა. ბაიარს ყოველთვის მუცელი ასტკივდებოდა ხოლმე. დიუმანუარს პირველ წარმოდგენების დროს მკვდრის ფერი ედო. პოლ დეკოკი თითქმის გონებასა ჰკარგავდა. ასე გასინჯეთ, თეატრში მეზობლებსა ჭლანძღავდა, თუ მაგრა არ უკრავდნენ ტაშს. ეჟენ სიუ ერთი საათით ადრე შედიოდა თეატრში, მაგრამ ასწევდნენ თუ არა ფარდას, თოფ-ნაკრავივით გარბოდა. შეუძლებელი იყო ამ დროს სიუს მოძებნა.

კომპოზიტორებიც გულ-გრილად ვერ ეგებებოდნენ თავიანთ ნაწარმოების პირველ წარმოდგენებს. ადოლფ ადანი, ავტორი „Postillon“-ისა, ხტოდა, დარბოდა, ცეკვაობდა, მოუსვენრად სათვალეს სწმენდდა. გალევი, ავტორი „ურიის ქალისა“, კულისებს უკან ბნელ კუნჭულებში იმალებოდა პირველ წარმოდგენის დროს. ობერი არც ერთხელ არ დასწრებია თავის პიესების წარმოდგენას. აი, როსსინი ამ შემთხვევაში ყოჩაღი იყო. შიში არ უწყოდა ამ კომპოზიტორმა. „სევილელ დალაქის“ პირველ წარმოდგენის დროს რომში კომპოზიტორის მტრებმა საშინელი სტვენა ასტეხეს. ყოველ დასტვენის დროს როსსინი თამამად წამოდგებოდა ხოლმე დირიჟორის სკამიდგან და მოწიწებით თავს უკრავდა მძაგებელთ.

ი. ა—ძე

აღარ სტოვებს, რომელიც კაპტოუნიდამ, ელისავეტიდამ და ისტ-ლონდონიდამ იგზავნება ევროპაში. აქამდე ეს ქალაქები სამხედრო ცენზურისაგან თავისუფალი იყვნენ, ეხლა აქედამაც ყალბი ცნობები მოვა.

ჩინეთი. პეკინიდამ იუწყებიან, რომ პრინცმა ჩინგმა უცხოეთის მისიებს წერილობით მიჰმართა და მოითხოვა, რომ პეკინში ყველა საჯარო კანტორები გაუქმებულ იქმნან.

სპარსეთი. რუსეთს გადაუწყვეტია დაუყოვნებლივ შეუდგეს ასხაბად-მეშხედის რკინის გზის გაყვანას.

კრიტი. უკანასკნელს ხანებში სახელმწიფოებს მსჯელობა ჰქონიათ კრიტის შესახებ. გერმანიისა და ავსტრო-უნგრეთის გარდა ყველა სახელმწიფოები იმ აზრისაა, რომ კრიტი საბერძნეთს უნდა შეურთდეს. ჰფიქრობენ, რომ გერმანია და ავსტრო-უნგრეთი მალე დასთანხმდებიან ამ საგანში სხვა სახელმწიფოებსო.

ინგლისი. სწორედ იმ დროს, როდესაც ინგლისს წინანდელზე უფრო მომეტებულად ეჭირება ჯარის კაცები, ირლანდია უარზე დგას და თანახმა არ არის ირლანდიელები ბურებთან საბრძოლველად გაგზავნოს. ირლანდიის პატრიოტებმა და მათ შორის მოდ გოპნმა (ქალმა) დიდი ხანია პროპაგანდა დაიწყეს ინგლისის წინააღმდეგ და ეხლა იქამდე მიაღწიეს, რომ ჯარებს აღარ აძლევენ. ინგლისის აგენტები ეხლა გერმანიაში გადავიდნენ ჯარის კაცების მოსაკრებად. აქამდე გერმანია ამ გვარს აგენტებს სასტიკად სდევნიდა, მაგრამ ეხლა-კი, თითქოს რაიმე ფარული შეთანხმება მომხდარიყოს ინგლისსა და გერმანიის შორის, ეს აგენტები თავისუფლად ჰმოქმედობენ ელზასლორენში და ჯარის კაცებად მიჰყავთ იქაური მუშა-ხალხი.

ოსმალეთი. ბეირუტის სატუსაღოს უფროსს ნება მიუცია მაჰმადიან ტუსაღებისთვის, შეიარაღებულნი დასცემოდნენ ქრისტიან ტუსაღებს. ქრისტიანებს ამ გვარად ბევრი კაცი მოუკლეს. ბეირუტის გუბერნატორმა, რეშიდ-ფაშამ, განკარგულება მოახდინა გამოძიების შესახებ.

— ბოლგარეთისა და ოსმალეთის ჯარებს საზღვარზე, უგანაცის მახლობლად, შეტაკება მოუხდათ. დაჭრილი და მოკლული ორივე მხრიდამ ბევრია.

ამერიკა. ნოემბერში ხელი უნდა მოაწერონ ინგლისმა და ჩრდილოეთ-ამერიკამ კონვენციას (შეთანხმებას) ატლანტიის ზ დიდის ოკეანეთა შუა არხის გაყვანის შესახებ. ამ კონვენციის ტექსტი პირველად ჩრდილოეთ-ამერიკის მდივანმა, გეიმ, და დიდ ბრიტანიის ელჩმა პაუნსფოტმა შეადგინეს. ტექსტი ეხლა იმ აზრით არის შეცვლილი, რომ სახელით, ნომინალურად, არხი ნეიტრალური იქმნება, მაგრამ ჩრდილოეთ-ამერიკას მაინც უფლება ეძლევა, როდესაც საჭიროდ დაინახავს, სამხედრო წესის მიხედვით გაამაგროს.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრეფილი ამბები)

—

ბევრგან ევროპაში ხალხსა სწამს, რომ თუ საღამოთი ხარაბუზა (ნეხვის ჭია) დაფრინავს, მეორე დღეს კარგი ამინდი იქმნება, თუ არადა—ცუდიო. ამის გამოკვლევას შესდგომია გამოჩენილი ენტომოლოგი ფაბრი. მთელი სამი თვე უდევნებია თვალყური ხარაბუზისათვის და დარწმუნებულა, რომ ხალხის თქმულება მართალი ყოფილა. კარგი ამინდის წინა დღეს ხარაბუზები მხიარულად დაფრინავენ თურმე, ცუდის ამინდის დროს—სხედან. მიზეზი იმისა, თუ როგორ იტყობენ ამინდს ხარაბუზები ერთის თღით ადრე, ფაბრს ვერ გამოუკვლევია.

*
* *

პარიეში ამას წინად ერთ ხიდ ქვეშ უნახავთ 18 წლის ჭაბუკი, რომელიც შიმშილისაგან ისე მისუსტებული იყო, რომ სიარულს ველარ ახერხებდა. როდესაც საკვები მიუციათ და ცოტა ღონეზედ მოუყვანიათ, ჭაბუკს უთქვამს: „მე ჰენრიხ გოტში მქვიან და ღარიბის ფერმერის შვილი ვარ. როდესაც თერთმეტის წლისა შევსრულდი, ცირკის ჯამბაზებმა და მოთამაშეებმა ეშმაკობით გამიტყუეს და ძალად თან წამიყვანეს. დიდხანს მაწვალეს და მტანჯეს: მასწავლიდნენ თავიანთ ხელობას, მაგრამ რაკი დარწმუნდნენ, რომ არ გამოვდგებოდი, ადგნენ და სხვა მოხეტიალე ჯამბაზებს მიმყიდეს. ახალმა უფროსებმა, ხანგრძლივის თათბირის შემდეგ, გადასწყვიტეს, რომ მე კარგი „ველური დედაკაცი“ დავდგები. მაშინ დამიდგა მწარე და შავი დღეები. რადგანაც ფერის შეცვლა საჭირო იყო, რაღაც წამლების წასმა დამიწყეს სახეზედ. ისე მიხეხავდნენ სახეს და მაწვალებდნენ, რომ მთელი ერთი წელიწადი იარები არ მომშორებია. ამას გარდა, ცოცხალ ბაჭიებისა და ფრინველების ყლაპვას მიმაჩვიეს, რაიცა ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო ჩემთვის. როდესაც საკმაოდ გავიწურთნე, თავი ფთებით შემიმოსეს, ცხვირსა და ყურებში საყურეები გამიყარეს, ტანისამოსი სრულიად გამაძრეს, მხოლოდ თეძოების გარეშემო მოკლე ტყავი შემომაკრეს, და ამ სახით გამომიყვანეს საზოგადოების წინ. იძულებული ვიყავ საზოგადოების სასიხარულოდ მეხტუნა, მეყვირნა ველურად, მეყლაპა ბაჭიები და ფრინველები. ამ ყოფაში გავატარე მთელი შვიდი წელიწადი; დღე და ღამ გაქცევაზედ ვფიქრობდი, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოვახერხე. ბოლოს, როგორც იყო, გულის წადილს მივაღწიე: ჩავიცვი ღამე ჩემის უფროსის ტანისამოსი და გამოვიპარე.“

*
* *

ერთი ჟურნალი ცნობებს გადმოგვცემს მკურნალთა რაოდენობის შესახებ ევროპაში. მცხოვრებთა შედარებით ყველაზედ ბევრი მკურნალი შვეიცასა და ესპანიაში ყოფილა. პირველში 10,000 მცხოვრებზედ 8 მკურნალი მოდის, მეორეში—7. ამათ მისდევენ დანია, იტალია, ინგლისი, შვეიცარია, ბელგია და გერმანია. უკანასკნელი ადგილი უჭირავთ შვეიცას, ნორვეგიას, რუსეთს და უნგრეთს.

*
* *

ამას წინად ლონდონში ერთი ძველი მოლდაური მარკა 5,500 ფრანკად უყიდნიათ თურმე. ეს მარკა წინანდელ პატრონს 12,500 ფრანკად შეუძენია. იმავე ლონდონში ამას წინად 750 ფრანკად გაუყიდნიათ ფინლიანდიის 1897 წლის მარკა.

*
* *

ამ რამდენისამე თვის წინად ლისაბონიიდგან პორტუგალიის მთავრობას რამდენიმე მკურნალი გაუგზავნია სან-ტომეს კუნძულსა და ანგოლის ახალშენში. ამ ადგილების მცხოვრებთა შორის ერთი უცნაური ავადმყოფობა ყოფილა გავრცელებული—წამდა-უწუმ ეძინებათ თურმე. მკურნალები აი ამ უცნაურ ძილის მიზეზების გამოსაკვლევად გაუგზავნიათ. ამ დღეებში პორტუგალიის საზღვაო მინისტრს მოხსენება მიუღია გაგზავნილ მკურნალთაგან. მკურნალნი ატყობინებენ, რომ აღმოვაჩინეთ ერთი მიკრობი, რომელიც მიზეზი ყოფილა ძილისაო; იმედი გვაქვს, რომ ფრანგ და ინგლისელ მკურნალებთან ერთად მალე ამ ავადმყოფობისაგან გასაკურნ საშუალებასაც გამოვიგონებთო.

წერილი რედაქციის მიმართ.

—

უღრმეს მადლობას ვუცხადებთ გიორგი ილიას ძე ოქრომჭედლიშვილს, რომელმაც ქართულ თეატრს შემოსწირა 25 მანეთის ფიცარი.

ქართ დრამ. საზოგადოების გამგეობა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

4 ოქტომბერი

ნოვგოროდი. მაზრის თავადაზნაურთა კრებამ დაადგინა დააარსოს ნოვგოროდში პანსიონ-თავშესაფარი თავად-აზნაურთა ბავშვთათვის. კრებამ ჰედაგოგიურ პროგრამას მიუმატა დურგლობისა და ზეინკლობის ხელოსნობის სწავლება, რაიცა ძალიან საჭიროა სასოფლო მეურნეობაში.

ნიჟნი-ნოვგოროდი. სამოსამართლო პალატამ დაიწყო განხილვა ინჟენერებისა პეტრე კოროვინის მოიჯარადრის და სხვათა საქმე, რომელთაც ჰპრალდებათ ბოროტ-მოქმედება ვოლგაზედ სორმოვის დამბის აგების დროს. ბოროტ-მოქმედებანი ჩადენილია 1893, 1894 და 1895 წლებში. მოწმე 130-ა, ამათგან გამოცხადდა 25 კაცი.

კიევი. საზღვარ გარეთ გაგზავნილმა კიევის საიდუმლო პოლიციის გამგემ რუდოიმ აღმოაჩინა ლონდონში ქარხანა, სადაც რუსეთის საფოსტო მარკებსა და სამ მანეთიან ქაღალდის ფულს ამზადებდნენ. ყალბ მარკებს ასაღებდნენ რუსეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის სხვა-და-სხვა ადგილებში; მარკები კარგადაა მომზადებული.

პოლიციამ შეიპყრო 18 წლის გლეხი კაპრანოვი, რომელიც დედაკაცებს ესხმოდა თავს. კაპრანოვი დანით მსუბუქად კისერსა, ნიკაპსა და ცხვირს სჭრიდა დედაკაცებს. შეპყრობილმა განაცხადა, რომ სიამოვნებას ვგრძნობ ჭრილობის დროს. როგორც ეტყობა, სულიით ავადმყოფია.

ბელგრადი. სკუპშჩინა ხვალ შესდგება. კვირას სეფე-სიტყვა იქმნება წაკითხული და კრება გაიხსნება.

5 ოქტომბერი.

პეტერბურგი. სტატ. სოვეტ. გორდეევი დანიშნულ იქმნა პლოცკის გუბერნატორად.

გენერალ-ლეიტენანტი ფონოვალი დანიშნულ იქმნა ვილენის გუბერნატორად.

ტამბოვი. აქ მოვიდა იმპერატრიცა მარიამის უწყების დაწესებულებათა უფროსი გრაფი პროტასოვ-ბახმეტიევი.

ლონდონი. დევენპორტიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ ლამანშის ესკადრის მეორე კამანდირის ჯავშნიან გემს „Magniticent“-ზედ ზღვაოსანი უკმაყოფილონი არიანო. ზღვაოსანთა ერთმა ნაწილმა დაჰმალა ზარბაზნების ცალკე ნაწილები, რათა ყურადღება მიაქციოს ზოგიერთს ბოროტ-მოქმედებაზედ.

დეგნიჩევი. როდესაც არჩევანების გამგე კომისარმა გამოაცხადა, რომ სალიბერალო დასი დეპუტატად არჩეულ იქმნა დობეეკიო, კოშუტის მომხრეებმა ქვები დაუშინეს პოლიციასა და ჯარს; ამ უკანასკნელთ იარაღი იხმარეს; დაიჭრა ბრბოდგან 60-დგან 80-მდე კაცი, სამი აფიცერი და მრავალი ჯარისკაცი; რატუშასა და სხვა შენობებს ფანჯრები ჩაუმტვრიეს; რამდენიმე ასი კაცი დაპატიმრებულ იქმნა. უწესოება ჯერაც არის.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 6 მაისიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეშე პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის ტფილისიდგან ბათუმში:

სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 11 წამ. (10 საათ. და 9 წამ.), ბათუმში ჩავა საღამოს 7 ს. 58 წ. (8 ს. 56 წ.)

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.), ბათუმში ჩავა დილის 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 57 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 6 ს. 48 წ. (7 ს. 46 წ.)

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 7 დღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს 38 წ.)

ტფილისიდგან ბაქოში

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დილის 9 ს. 17 წ 10 ს. 15 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 1 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.), ბაქოში ჩადის დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.),

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 8 ს. 18 წ. (9 ს. 16 წ.), ბაქოში ჩადის დღის 11 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.).

ტფილისიდან ყარსში:

ფოსტის მატარებელი საღამოს 10 საათ. 10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 3 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 2 საღამოს 9 ს 42 წ. (10 ს. 43 წ.). ტფილისში ჩამოდის დილის 7 ს. 57 წ. (8 ს. 55 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 საღამოს 10 ს 17 წ. (11 ს. 15 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 38 წ. (8 ს. 36 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით დილის 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ. ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 10 ს 15 წ. (11 ს. 13 წ.), ტფილისში მოდის, დღის 4 ს. 13 წ. (5 ს. 11 წ.

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 1 ს. 27 წ. (1 ს. 25 წ.) ტფილისში მოდის დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 8 [illegible] ს. 5 წ. (2 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.)

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი დღის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.).

საგარაკო მატარებლები:

საგარაკო მატარებელი № 18 მცხეთიდგან ტფილისში საღამოს 5 ს. 22 წ. (6 ს. 20 წ.), ტფილისში ჩამოდის 6 ს. 1 წ (6 ს. 59 წ.).

საგარაკო მატარებელი № 20 მიხაილოვიდგან ტფილისში საღამოს 6 ს. 49 (7 ს. 47 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს (10 ს. 14 წ. (11 ს. 12 წ.)

განცხადებანი



როიალები



ჰიანინო

ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გარდახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО

М. МИРИМАНЯНА

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—6.—1)

მევენახეობის და მეღვინეობის კრების თავმჯდომარე აუწყებს ყველას, ვისაც-კი ჰსურს კრებაზედ მონაწილეობა ვიღოს, რომ **კრება დაიწყება 14 ოქტომბერს,** დღის 12 საათზედ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო **საზოგადოების სადგომში.**

საჭირო ცნობებისათვის მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ გამოფენაზედ მიწათმოქმედების განყოფილებაში კრების საქმის მაწარმოებელს ბ-ნს ვიშნევსკის დილის 10—12 საათამდე, ხოლო შემდეგ სამ საათამდე სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ბიუროში.

(3—200—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5-го Октября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე